საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/64

29 **აგვისტო, 2017 წ.** **ქ. ბათუმი**

2017-2018 სასწავლო წლის შემდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს მე–13 მუხლის, „ბსუ–ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2017-2018 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N38 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის გადახდა (ადმინისტრაციული რეგისტრაცია) განხორციელდეს 3 (სამ) ეტაპად, შემდეგნაირად:
ა) I ეტაპი – 2017 წლის 26 სექტემბრის ჩათვლით;
ბ) II ეტაპი – 2017 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით;
გ) III ეტაპი – 2017 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით;

2. სწავლის საფასურის გადახდა იწარმოებს შემდეგ **რეკვიზიტებზე:** (მიმღების ბანკი - **სახელმწიფო ხაზინა**; მიმღების დასახელება - **ხაზინის ერთიანი ანგარიში**; ბანკის კოდი - **TRESGE 22**; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - **7 0901 7289 - უმაღლეს** საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური; დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: სტუდენტის სახელი გვარი, პირადი ნომერი, ფაკულტეტი, სპეციალობა, კურსი).
3. იმისათვის, რომ გადახდილი სწავლის/კრედიტების საფასური ავტომატურად აისახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში შესაძლებელია გამოყენებული იქნას ბანკში საბილინგო სისტემა. გადახდა ასევე შესაძლებელია სწრაფი ჩარიცხვის აპარატებისა და ელექტრონული გადახდების სისტემებიდან.
4. ბრძანება აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**